ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

14 - 27 მარტი 2014 წელი №5 № 8063 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.



მამა გაბრიელის ანდერძი
გვ6.

მაც შიმლიგ, რაც ცხბავშვო ბერი ფოვცო გაბლა
გვ5.

გამოფენა გზის სამოსი
გვ2.

კასპის მუნიციპალიტეტში მალე 3 ახალი ამბულატორიის მშენებლობა იწყება
გვ2.

წელიწადიც შეხვედრა
გვ7.

შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან
გვ3.

დასუფთავების აქცია
გვ3.

სოფელი ცხავერი მალე სინათლეს მიიღებს
გვ2.

აქცია ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად

ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად, კასპის სამედიცინო ცენტრში "ავერსი" სისხლის ჩაბარების აქცია ჩატარდა. ამჯერად სისხლი კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებმა, სამედიცინო ცენტრის თანამშრომლებმა გაიღეს.

ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დახმარება თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალია. ჩვენს მიერ გაღებული სისხლი მათ გამოჯანმრთელებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებაში დაეხმარება, ამიტომ ვისაც ჯანმრთელობა აძლევს საშუალებას სისხლი უნდა გაიღოს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

მსგავსი აქცია გასული წლის 27 სექტემბერსაც გაიმართა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა მიიღეს.

80 წელია ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარჯს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს...

გამოიწერეთ „ახალი განთიადი„!

80 წელი თქვენც ერთად!

ახალი განთიადი

გამოფენა გზის სამოსი

7 მარტს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანის ტერიტორიაზე მდებარე კომპანია "ბლექ სი გრუპი"-ს ხელმძღვანელობამ, კომპანიის ბაზაზე გამართული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის თანამედროვე შესაძლებლობების გამოფენა „გზის სამოსი" მოაწყო.

გამოფენა დაათვალიერეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ, მინისტრის მოადგილემ გიორგი ამაშუკელმა, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით შავლიაშვილმა, დეპარტამენტის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა. ოფიციალური პირების გარდა, გამოფენა "გზის სამოსი" სფეროს ექსპერტებს, მეცნიერებს, საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით მომუშავე ქართულ და უცხოურ კომპანიებს მასპინძლობდა.

გამოფენაზე მიწვეული იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი და მისი მოადგილე ზაზა მოსიაშვილი.

ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, - განაცხადა დავით ნარმანიამ - "ბევრი კარგი რამ ვნახეთ, თანამედროვე მეცნიერული, ტექნოლოგიური სიახლეები, როგორც გზების, ისე გზებთან დაკავშირებულ ინფრასტუქტურაში.

საქართველოში ნელ-ნელა ინერგება ტექნოლოგიური სიახლეები, თუმცა, ჩვენი ამოცანაა დავაჩქაროთ პროცესი. ეს ტექნოლოგიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება და იძლევა ინფრასტრუქტურის სწრაფად მოდერნიზაციის შესაძლებლობას, ამასთან, ხარისხიანია.

ევროპული სტანდარტების დანერგვაზე ჩვენ უკვე ვმუშაობთ, შესაბამისად, ახლო მომავალში, საქართველოში ყველაფერი მოწესრიგდება, როგორც სტანდარტების, ისე თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით."

"ბლექ სი გრუპი" უდიდესი კომპანიაა და მისი კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირება მნიშვნელოვანია. ჩვენ აქ ვნახეთ ღორღოვან-მასტიკური და ცივი ასფალტის, მოდიფიცირებული ბიტუმის გამოყენების, რეციკლირებული და ორმული სამუშაოებისთვის განკუთვნილი ასფალტის წარმოების თანამედროვე, ოპერატიული და საყოველთაოდ ადაპტირებული ტექნოლოგიები - აღნიშნა გოჩა გოჩიტაშვილმა.

"გზის სამოსი"-ს მონაწილეებმა გამოფენაზე წარმოდგენილი თანამედროვე ტექნოლოგიების ნაწილი ადგილზევე გამოსცადეს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

სოფელი ცხავერი მალე სინათლეს მიიღებს

2014 წლის 6 მარტს მთავრობის სხდომა გაიმართა. საქართველოს მთავრობამ სოფლების ელექტროფიცირების გეგმა დაამტკიცა. განკარგულების პროექტი, რომელიც მთავრობის სხდომაზე ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ წარადგინა, მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა.

ელექტროფიკაციის მორიგი ეტაპის ფარგლებში გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერემის, დუშეთის რაიონის სოფელ კაწალხევის, დმანისის რაიონის სოფელ სოგოუთლოს, კასპის რაიონის სოფელ ცხავერისა და ქარელის რაიონის სოფელ ოქროსოფელის ელექტროფიცირება განხორციელდება. ამ მიზნით მთავრობა 842 158 ლარს გამოყოფს. აღნიშნულ სოფლებს ელექტროენერგია 20 წლის განმავლობაში არ მიეწოდებოდა.

მთავრობის გეგმის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში ყველა სოფლის ელექტროფიცირება დასრულდება.

კასპის მუნიციპალიტეტში მალე 3 ახალი ამბულატორიის მშენებლობა იწყება

საქართველოს მასშტაბით 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობა იწყება. ამისათვის საქართველოს მთავრობამ 2,4 მილიონი ლარი გამოყო.

ამბულატორიებს მუნიციპალიტეტების მიერ სპეციალურად შერჩეულ ტერიტორიაზე მუნიციპალური განვითარების ფონდი დაამონტაჟებს. პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ერთობლივად ახორციელებენ. კასპის მუნიციპალიტეტში, ამბულატორიის ახალი შენობები განთავსდება სოფელ რენეში, თეზში და გამყოფი ზოლის პირა სოფელ თვაურებში.

ყველა ამბულატორია სტანდარტულია. შენობა მომზადებულია ენდვიჩპანელებისგან, რომელიც 2 გამათბობლითა და 2 სველი წერტილით აღიჭურვება.

შენობისგარე და შიდა ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ამბულატორიების კონსტრუქციები საქართველოში იწყობა და მას ლილოში არსებულ ქარხანაში აწარმოებენ. მას შემდეგ, რაც მუნიციპალური განვითარების ფონდი შენობების ინფრასტრუქტურის მოწყობას დაასრულებს, ამბულატორიები ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა, აღიჭურვება და ადგილობრივ მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას გაუწევს.

ახალი ამბულატორიები მუნიციპალიტეტებში მიმდინარე კვირიდან დაიდგმება, რის შემდეგაც დაიწყება მათი აღჭურვა.

გრაფიკის მიხედვით, 81 ამბულატორიის მშენებლობა ქვეყნის მასშტაბით 2014 წლის სექტემბერში დასრულდება. მათ შორის, ათი ამბულატორია გამყოფი ხაზის მიმდებარედ არსებულ სოფლებში დამონტაჟდება.

პროექტის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე საჭირო საკითხების მოგვარებას უზრუნველყოფენ. კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უზრუნველყოფენ ამბულატორიისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ფუნდამენტის მოწყობას, მიწისქვეშა კომუნიკაციების, წყლის, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ტერიტორიამდე მიყვანას. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ჯანდაცვის სამინისტროები პერმანენტულ მონიტორინგს განახორციელებენ, რათა ამბულატორიების მშენებლობის პროცესი დათქმულ ვადებში და ხარისხიანად განხორციელდეს.

,,ახალი გვნთიავლი,, იძიებს ცვინტერესებს ადგილობრივ ცხოვრების ასპექტებზე, ადგილობრივ-მეტიანის შეცვლილია. თქვენი მეგობრებთან ერთად ეცადეთ - ოფოფი-მეტიანის შეცვლილია! გამოგვიგზავნეთ ცვინტერესებს ან ცხალი ამბავი!

მკითხველს შეუძლია მოგვანოდოს ცვავტორი კროსვორდები, შემეცნებით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, ცვაკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

დასუფთავების აქცია ყასპში

9 მარტს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია ჩატარდა. აქციაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ და საჯარო სამსახურის, შპს "კასპის კეთილმოწყობი"-ს, კასპის ბიბლიოთეკის, საბავშვო ბაღების, სპორტის, კულტურის, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების გაერთიანებების თანამშრომლებმა.

კასპში, აქციის მონაწილეებმა ვარჯაანის დასახლების მიმდებარე ტერიტორია, იგოეთის და მეტეხის მხარეს გამავალი გზა დაასუფთავეს. აქტიურობა გამოიჩინეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერ-

იტორიული ორგანოს მაცხოვრებლებმაც, მათ საკუთარი სოფლის ტერიტორია დაასუფთავეს.

ფაქტია, აქტიურად მუშაობს ქალაქის დასუფთავების სამსახური, თუმცა ერთი უწყება ვერაფერს გახდება, თუ მოქალაქეებმა არ იზრუნეს სისუფთავის შენარჩუნებასა და წესრიგზე. დასუფთავების აქცია კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ სუფთა გარემოს შენარჩუნება ცხოვრების წესია - აღნიშნა კასპის

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და აქციაში მონაწილეებს აქტიურობისათვის მადლობა გადაუხადა.

აქციის ჩატარებას ხელი შეუწყო -კავშირი მდგრადი განვითარებისათვის "ეკოვიჟენმა" (აღმას-

რულებელი დირექტორი ნინო სულხანიშვილი) და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირმა "ორქისი" (დირექტორი მარიამ ქიმერიძე), მათ აქციის მონაწილეებს ხელთათმანები, ტომრები და მაისურები გადასცეს.

კასპის მუნიციპალიტეტში "სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში სოფლის მოსახლეობის კრებები მთავრდება.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი პირადად დაესწრო 65 სოფლის კრებას. გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მოსახლეობას სოფლის პროგრამის მნიშვნელობაზე ესაუბრება, აცნობს სოფლისათვის გამოყოფილი თანხის რაოდენობას და ურჩევს თავად გადაწყვიტონ პრიორიტეტული პრობლემა, რომელზეც მთავრობის მიერ მათთვის გამოყოფილი

თანხა დაიხარჯება. ასევე სთავაზობს საქმიანობის პერიოდში სოფლის მოსახლეობამ შექმნას მონიტორინგის ჯგუფი და სრული კონტროლი გაუწიონ სოფელში მიმდინარე სამუშაოების ხარისხს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2014 წელს კასპის მუნიციპალიტეტში სოფლის პრობლემების მოგვარებისათვის 1 039 344 ლარია გამოყოფილი. აღნიშნული თანხა, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით გადანაწილებულია 16 საკრებულოს 72 სოფელზე.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მეექვსე წელია ქვეყანაში "სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" წარმატებით ხორციელდება და მოსახლე-

ობას პრობლემების მოგვარებაში ეხმარება. მოსახლეობასთან შეხვედრებზე ძირითად პრობლემებად იკვეთება: სასმელი და სარწყავი წყლის, მისასვლელი და შიდა სასოფლო გზების, სპორტული მოედნების და სხვათა მოგვარება.

შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან

გოჩა გოჩიტაშვილმა გამყოფი ზოლის პირა სოფლების: სარიბარის, ყარაფილას, ზადიანთკარის და კოდისწყაროს კრებებზე, მოსახლეობას გააცნო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს გამრიცხველიანების, სასმელი წყლის და ბუნებრივი აირით უზრუნველყოფას.

"სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით კი სხვა პრობლემების

მოგვარება შესთავაზა. მოსახლეობამ აღნიშნული თანხით ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სარწყავი წყლის, გზების მოხრეშვის და სხვა არსებული პრობლემების მოწესრიგების შესახებ. სოფელ ზადიანთკარში კრებას 99 წლის დიმიტრი ზადიშვილი ესწრებოდა. საქართველოს მთავრობას მან მადლობა გადაუხადა სოფლის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის.

სოფლის კრებებს ესწრებოდნენ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები ლაშა ხაჭაპურიძე და ირაკლი ხიდაშელი, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა თათანაშვილი, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი თემურ ხაბაძე.

საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ დაგეგმილი პროექტების განხორციელება დაიწყება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

“ქალი-მშვენება, სამყაროს მუზა”

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც გაიმართა კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრში უამრავი მაყურებელი დაესწრო. ღონისძიების ორგანიზატორებმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა (უფროსი თეა ხორბალაძე) და კულტურის დაწესებულებების გაერთიანებამ (დირექტორი გიგა ხორგუაშვილი) მოამზადეს სპეციალური პროგრამა – “ქალი-მშვენება, სამყაროს მუზა”.

საზეიმო შეხვედრის დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და დღესასწაული მიულოცა ქალბატონებს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ალექსანდრე გზირიშვილმა. დარბაზში შეკრებილი მაყურებელი ოვაციებით შეხვდა ანსამბლ “მოურავის” (ლოტბარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი ბახტაძე) გამოსვლას. ანსამბლის წევრებმა ქალბატონების პატივსაცემად შეასრულეს რამდენიმე მუსიკალური ნომერი, მათ შორის ამ საღამოზე განსაკუთრებული დატვირთვით აჟღერდა პოეტ მურმან ლებანიძის ლექსის მიხედვით შექმნილი კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის ცნობილი ჰიტი “გაზაფხული შემოსულა, ლენ” /სოლისტები რეზო კერესელიძე, ირაკლი ქებაძე, მიხო ქოსაშვილი/.

შემდეგ სცენა დაეთმო მუნიციპალიტეტის სამსახურების ხელმძღვანელებს, რომლებმაც საჯარო სამსახურში დასაქმებულ მანდილოსნებს დღესასწაული მიულოცეს და წარჩინებულ ქალბატონებს ყვავილების თაიგულებთან ერთად სარვამარტო საჩუქრებიც გადასცეს. მათ შორის იყვნენ: საქართველოს პარლამენტის კასპის ბიუროს ხელმძღვანელი თემურ ხაბაძე,

კლინიკა “გინიკას” დირექტორი კახა ტატუნაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი გიგა ხორგუაშვილი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ნუნუ ყიფიანი, კასპის ბიბლიოთეკის დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი ხათუნა ტყემალაძე, სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, კასპის მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორი ქეთევან ხითარიძე.

სადღესასწაულო საღამოზე დაჯილდოვდნენ ქალბატონები: რიმა ზურაბიანი (ნოტარიუსი), გულიზა ოთიაშვილი-რევაზიშვილი (კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო და საბიუჯეტო სამსახურის სპეციალისტი), რაია მერებაშვილი (კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი), შორენა ქაწაშვილი, მაია გასიტაშვილი, მაია ქარქუსაშვილი, ნატო არაყიშვილი, ეკა კუსრაშვილი (ქალაქ კასპის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტები), ზოია სუხაშვილი (საქართველოს პარლამენტის კასპის ბიუროს სპეციალისტი), ნელი იაშვილი (გინეკოლოგი), ციური გიგაური (ოკმის სასოფლო კლუბის ლოტბარი), ნანა შალიტაური (კავთისხევის კულტურის სახლის დირექტორი,) ლორენა ჩიტაშვილი (ფერმის ბაღის



გამგე), თამარ გორგაძე (ზემო ხანდაკის ბაღის აღმზრდელი), ეკა მჭედლაძე (სამთავისის ბაღის აღმზრდელი), მანანა სოზიაშვილი (კასპის სამუსიკო სკოლის პედაგოგი), რუსუდან გელაშვილი (კასპის სამუსიკო სკოლის პედაგოგი), ნინო ჟივიძე (სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი), ხათუნა ადიკაშვილი (სპორტის დაწესებულებების გაერთიანების მთავარი სპეციალისტი), ნინო შაქარაშვილი (სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი), მანანა ხოხაშვილი (სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი), ხათუნა მარქარაშვილი (კასპის ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი), შორენა ხაბალაშვილი (კასპის ბიბლიოთეკის სპეციალისტი), ლილი ხუციშვილი (კასპის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი).

უშანგი მოსიაშვილმა ფულადი ჯილდო გადასცა ს.ს. “კასპიელექტროაპარატის” თანამშრომელს ზაირა გაბიევას. გიგი თავშავაძემ საჩუქარი გადასცა მაია ტერტერაშვილს.

ოდნავ მოგვიანებით კი, შეკრებილ საზოგადოებას შეუერთდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა დარბაზს და დღესასწაული მიულოცა ქალბატონებს.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ: ანსამბლი “მოურავი” - სოლისტები: მიხო ქოსაშვილი, დიმიტრი მჭედლიშვილი, ირაკლი ქებაძე, რეზო კერესელიძე, მერაბ მერებაშვილი, სოსო გიგაური, კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორი ზაზა მენაბდიშვილი, მისი აღსაზრდელები: აჩიკო მიგრიაული და საბა გულიაშვილი. კონცერტი დასრულდა “ძრავალჟამიერით”.

სადღესასწაულო ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის სპეციალისტი ლია მენაბდიშვილი.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ქალი საქართველოს ისტორიულ, მხატვრულ, ხალხურ ლიტერატურაში

ქალის ფენომენს უმნიშვნელოვანესი, ფრიად საყურადღებო ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. საქართველოს მატიანეში მრავალი უმაგალითო თავდადების ამბავი გადაეცემა თაობიდან თაობას. ერის სულიერების გადასარჩენად ყველაზე დიდი ტვირთი სწორედ ქალბატონებმა ზიდეს. ქართველთა წმინდანმა, დედოფალმა ქეთევანმა ენით აუწერელ ტანჯვასა და ვაებას გაუძლო, არ გატყდა და მოწამებრივად აღესრულა, დაიცვა საქრისტიანო, რჯული, ეროვნება, სამშობლო...

აი, სწორედ ასეთ მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრეს ამ დღეებში კასპის ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. წარმოდგენილი იყო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია “ქალი ქართულ ლიტერატურაში”. ყვავილებით მორთულ სამკითხველო დარბაზში ჟღერდა მუსიკა, რამაც კიდევ უფრო გააკეთილშობილა და გაალამაზა სახელდახელოდ მოწყობილი წიგნების გამოფენა სათაურით “ჰოი, დედანო”...

საინტერესო იყო ბიბლიოთეკის ერთგული მკითხველის ნელი ნონიკაშვილის გამოსვლა, რომელმაც ყურადღება დაუთმო ქალის როლს საქართვე

* დასასრული მე-8 გვ.

მას შემდეგ, რაც ცხხვეშვო ხალი ფოთლით გახდა

2012-2013 წლების მონაცემებით ჯასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ათასორასზე მეტი აღსაზრდელი ირიცხება. როგორც ამ დარგის სპეციალისტები და მესვეურები ვარაუდობდნენ ბავშვთა კონტინგენტი კიდევ უფრო გაიზარდა გასულ წლებთან შედარებით, ე.ი. მას შემდეგ, რაც საბავშვო ბაღები უფასო გახდა. ამჟამად დამუშავების პროცესშია ახალი სტრატეგია (2013-2018 წლების ჩათვლით), რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ შენობებს, ინვენტარს, ერთი სიტყვით, ყველა სიახლეს, რომლითაც ბავშვებს შეექმნებათ სათანადო პირობები, როგორც სრულფასოვანი ჯვებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვით, ასევე დახვეწილი სააღმზრდელო პროგრამებით.

კასპის №4 საბავშვო ბაღის გამგე დალი კოტეტიშვილი:

მომავალ თაობაზე უდიდესი ზრუნვის გამოვლინება გახლდათ დროული გადაწყვეტილება, რომლითაც საბავშვო ბაღები უფასო გახდა. ბოლოს და ბოლოს ყველა ოჯახს მიეცა საშუალება, რომ შვილი ბაღში ატაროს... მოგეხსენებათ, ჩვენი ბაღი ტერიტორიულად ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს და ცხადია, ბევრს ვერ უხერხდება აქ მოსვლა, მაგრამ მგონია, ბოლოდროინდელი მოვლენებით ეს ბარიერც მოიხსნა და წინა წლებთან შედარებით ბავშვთა კონტინგენტი ერთიორად გაიზარდა, და აი, წელს 85 აღსაზრდელი მივიღეთ. ალბათ, ეს ფაქტი იმანაც

განაპირობა, რომ ბაღი უფასო გახდა და ოჯახი, სადაც ორი ან მეტი ბავშვია, უკვე აღარ შეიზღუდება, შვილებს მოიყვანს ბაღში...

შედარებაც არ შეიძლება გასულ წლებთან, რადგან დღეს უკეთესობისაკენ არის შეცვლილი საერთო ვითარება. დიახ, შექმნილია ყველა პირობა, როგორც კვების, ასევე მომსახურებისა და სააღმზრდელო პროგრამით. ცოდნით, გამოცდილებით გამოირჩევიან ჩვენი ბაღის აღმზრდელები მაია აბეწვაშვილი, ნელი გორგაძე, ციცინო ირემაშვილი, ლიანა მარქარაშვილი, მუსიკის მასწავლებელი ნინო გეჯაძე, ექთნები: ზოია ჟივიძე, თამარ ციხელაშვილი, რომელი ერთი დავასახელო, ბაღის მთელი კოლექტივი მონდომებულია, რომ ბავშვებს არ მოაკლდეთ ზრუნვა და სითბო, გულისხმიერება, ერთი

სიტყვით, ყველა პირნათლად და პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

გულმოდგინედ, უდიდესი რუდუნებით ასრულებენ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს ჩვენი მზარეული ქეთევან ბიძინაშვილი და მისი დამხმარე ლალი თათრიშვილი. ისიც იცით ალბათ, რომ დღეში სამჯერადი კვება აქვთ ბავშვებს, ამასთანავე კვირაში ორჯერ მაინც გარანტირებულია ხორციანი კერძი, აგრეთვე კვირაში ერთხელ ჩვენი ბავშვები მიირთმევენ თევზის ულუფას. ერთი სიტყვით, სრული ნორმის დაცვით მზადდება ჩვენთან საუზმე, სადილი და სამხარი...



და მაინც, უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის სააღმზრდელო პროცესი. ამიტომაც ჩვენი ბაღის მასწავლებლებმა წარმატებით გაიარეს "იუნისეფის" ახალი სააღმზრდელო პროგრამა – ეს გახლავთ სპეციალური საცდელი პროექტი, რომელიც, შემოიფარგლება ევროსტანდარტებით გათვალისწინებული ლიტერატურითა და მთელი რიგი სიახლეებით.

გარდა ამისა უდიდესი ინტერესით ვიღებთ და ვიზიარებთ სხვათა გამოცდილებასაც, ნებისმიერ მისაღებ რჩევას, რაც დაკავშირებულია სააღმზრდელო პროცესთან. ამას წინათ ბაღში სტუმარი გვყავდა, მან გულდასმით დაათვალიერა ჩვენი აღსაზრდელების ნახატები, ნაქარგები, გამოძერწილი ნამუშევრები და თქვენ წარმოიდგინეთ, მოხიბლული და გაკვირვებულიც კი დარჩა იმის გამო, რომ პატარები ფანტაზიის მეშვეობით შესანიშნავად ახერხებენ საკუთარი თვითშემოქმედების გადმოცემას, შემმოწმებელმა, რასაკვირველია, თავისი აზრი გამოთქვა და სათანადო რჩევებიც მოგვცა და ბუნებრივია, ეს ყველაფერი წაადგება ჩვენს შემდგომ მუშაობას.

სათანადო ცოდნის გარდა ბაღის მასწავლებლები განსაკუთრებული გულისხმიერებითა და მოხერხებულობითაც გამოირჩევიან. თავად მოიფიქრეს და მოიწადინეს აქაურობის გალამაზება და გაკეთილშობილება... საქმე ის გახლავთ, რომ წლებია სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა ბაღში და რასაკვირველია, გახუნდა შემოსასვლელებისა და დერეფნების კედლები. ამიტომ მოიმარაგეს ფუნჯები, საღებავები და შელახული ადგილების დასაფარად კედლებზე ბავშვების საყვარელი ზღაპრების გმირები დახატეს, ასე



რომ, ყოველ დილა-საღამოს ჩვენს პატარებს ხვდებიან და აცილებენ ზღაპრების (წითელქუდა, სამი გოჭი, წიქარა და ნიკორა და სხვა) პერსონაჟები.

ბაღში შექმნილი ჯანსაღი გარემო გვიადვილებს მშობლებთან ურთიერთობასაც. კმაყოფილებასა და მადლიერებას გამოხატავენ, რომ ბავშვებს ნორმალური კვება აქვთ, გათბობა, სათანადო აღზრდა. მინდა მოვიყვანო ჩვენი აღსაზრდელის ნიკოლოზ მესხიშვილის მაგალითი. ერთი წლის იყო ნიკოლოზი, როდესაც დედამ უიმედოდ, მოკრძალებით მოიყვანა ბაღში. არ ეგონა თუ მივიღებდით, რადგან ბავშვს გარკვეული გართულებები ჰქონდა, გაუჩერებლად ტიროდა, აღგზნებული, უხასიათო, არ ჭამდა, ვერ იძინებდა, მაგრამ მოხდა სასწაული და სულ მოკლე ხანში ბავშვის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ბავშვის მშობელი ქეთევან ვალიშვილი დღესაც გაკვირვებული და მადლიერია რადგან ახლა უკვე მისი ოთხი წლის ნიკუშა ჯგუფში ერთ-ერთი საუკეთესოა.

– უკმაყოფილების ერთი შემთხვევაც კი არ მახსენდება, – აღნიშნავს პატარა მარიამ შაველაშვილის დედა ლია ბარბაქაძე, – განა მარტო მარიამი, ჩემი უფროსი შვილები ოთიკო და ნიკაც ამ ბაღის აღზრდილები არიან, ბევრი სიკეთე მახსოვს ბაღის მასწავლებლებისაგან, რომელთაც კეთილად ვიხსენებ ჩემს ოჯახთან ერთად.

ბაღში დღეს არსებული საერთო მდგომარეობა, ჯანსაღი გარემო და აღზრდისათვის შესაფერისი პირობები იმის მტკიცე გარანტიას იძლევა, რომ ახალი სასწავლო წლიდან კიდევ უფრო გაიზრდება ბავშვთა კონტინგენტი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.



მამა გაბრიელის ანდერძი

“მარად მკვდარი არ გეგონოთ, მე საფლავში ცოცხალი ვიქნები. ბოდბეში წმინდა ნინო წევს გაუხრწნელად და მირონი სდის და აი, აქ მე ვიქნები. მე რომ გარდავიცვლები, აქ ნახევარი საქართველო მოვა. ქრისტემ ლაზარე აღადგინა და ის გაუჭირდება, რომ მე აღმადგინოს? თქვენ ვერ დამინახავთ, მაგრამ

ითხოვეთ ღვთისგან და ლოცვას არ დაგაკლებთ, რომ ღმერთი ყველას შეგეწიოთ... თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს, დევნა ყველგან იქნება, ანტიქრისტე ყველგან გამეფდება, მხოლოდ საქართველოში ტახტს ვერ დაიდგამს!

საქართველოს მარიამ ღვთისმშობელი დაიფარავს, მისი წილხვედრია. აქ ნაკლები დევნა იქნება, ოღონდ ცალ-ცალკე ნუ იქნებით, ათი ან მეტი იყავით ერთად, ერთმანეთს უნდა შეეშველოთ დევნის დროს, ნუ შეგეშინდებათ, როდესაც გაგიჭირდებათ, მოვალ და მოგეშველებით, ოღონდ თქვენ ვერ დამინახავთ...

საქართველო უნდა გაბრწყინდეს, მაგრამ დიდი ტანჯვა უნდა გამოიაროს, როცა იტყვიან – “აი, მორჩა!” – მაშინ განათდება და გაბრწყინდება! საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და რაც საქართველოში ხდება, ეს განსაცდელი ჩვენს სასიკეთოდაა. არ მიატოვოთ საქართველო, არ განარისხოთ ღვთისმშობელი. ადამიანი სადაც დაიბადება, იქ გადმოდის მასზე კურთხევა... უფალს სამყაროში ყველაზე მადლიანი ადგილი სასუფეველი აქვს, ხოლო აქ – დედამიწაზე – მადლის მიხედვით, იერუსალიმის შემდეგ, ყველაზე წმინდა ადგილი სვეტიცხოველია, მის შემდეგ სამთავროს მონასტერი!.. წმინდანთა ჯაჭვი საქართველოში უწყვეტია, ქართულ ეკლესიას სულიწმიდის მადლი არასოდეს მოჰკლებია და არც მოაკლდება! საქართველო აღდგება ისე, როგორც ლაზარე. სკიპტრა სკიპტრაა და სანამ საქართველოს გვირგვინოსანი მეფე არ ეყოლება, არაფერი გამოვა. საქართველოს მეფე უნდა ჰყავდეს გვირგვინოსანი ბაგრატიონი. ის რა ერია, რომელსაც მეფე არ ჰყავს!.. ივერიის ღვთისმშობლის ხატი რომ დააპირებს ათონის მთის დატოვებას, ზარების რეკვა ატყდება, ეკლესიები ხილული სახით მოიხრებიან გაცილების მიზნით. ყველაფერი იქნება ტელევიზიით. ეს არის ღვთის წყალობა, რათა მსოფლიომ ნახოს და გადასარჩენი სულები აქ ჩამოვიდნენ, საქართველოში. უამრავი მორწმუნე მოიყრის თავს საქართველოში. ქვეყნის დასაბამიდან ასეთი განსაცდელი არ ყოფილა დედამიწაზე. ეს არის ბოლო!.. სიკეთე ჰქმენით, რომ თქვენმა სიკეთემ გადაგარჩინოთ. ნახევარი ჯოჯოხეთი უკვე დედამიწაზეა, ანტიქრისტე კარებთან დგას და კი არ აკაკუნებს, შემოგლეჯას ლამობს... მორწმუნე ღმერთის იმედად იქნება, ბოლო ჟამს კი უფალი ისეთ სასწაულს გაუკეთებს თავის ხალხს, ერთი ფოთოლი ერთ თვეს ეყოფათ საკვებად. მიწაც ხომ არ დაილია, გარდასახავ ჯვარს მას და პურად გექნებათ... ყველა ვერ გადარჩება, ვერც მე შევიწყალებ, ვერც უფალი, შენი თავი თვითონ თუ არ შეიწყალე. ვინც სულს გადაირჩენს და სხვასაც შეეწევა სიტყვით და საქმით, ის ქრისტეს მცნების შემსრულებელია!.. ბოლო ჟამს ადამიანებს სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს. სიკეთე სამოთხის კარს გაგიღებს, სიმდაბლე შიგ შეგიყვანს და სიყვარული ღმერთს განახვებს... ბოლო ჟამს საქართველო გაბრწყინდება. სწორედ ეს გაბრწყინება იქნება რელიგიური აღმავლობა და არა დოლარების ფრიალი, ზოგს რომ ჰგონია! გიყვარდეთ ერთმანეთი, საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს, ბოლო ჟამია, უფალი მოგთხოვთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს, ვინც შეინარჩუნებს, ის გადარჩება... ილოცეთ ყველასთვის, ამას გიტოვებთ ანდერძად. ილოცეთ, ლოცვა მთებს დაძრავს!”

Dress Code

წესები, რომლებიც გარდაუვალ საჭიროებად იქცა

რესპექტაბელურობისაკენ სწრაფვა ადამიანთა ყოფის განუყოფელი ნაწილია. მაღალი საზოგადოების მიღებებსა და საქმიან შეხვედრებზე საჭიროა შესაბამისად ვიქცეოდეთ და გარკვეული წესის მიხედვით გვეცვას, რათა გარშემომყოფთა ჰაეროვანებამ დავიმსახურით. ადამიანთა ნაწილი ყოველივე ამას სნობიზმად თუ ყინსერვაციზმად აღიქვამს, მაგრამ ამ წესების გარეშე დღევანდელ საზოგადოებაში არსებობა თითქმის შეუძლებელია. მოწვევას, რომელსაც შეხვედრების მასპინძლები ან ორგანიზაციორები გვიგზავნიან, უმეცესად თან ახლავს მითითება, თუ რა სურვილები აქვთ ან როგორ მოთხოვნებს უყენებენ ისინი სცენარის ჩაცმულობის კონკრეტული სტილის თაობაზე.

* გაგრძელება

5c (After 5 casual) _ Dressy Casual

– გახსნილი სტილი იმ საღამოებზე, რომლებიც 17 საათის შემდეგ იმართება. შესაძლო ღონისძიებები დაახლოებით 5-ის მსგავსია. იგი გულისხმობს არა გაცვეთილ ჯინსებსა და ნახმარ ტანსაცმელს, არამედ ცნობილი ბრენდებისა და დიზაინერების მიერ შექმნილ მოდურ სამოსს, მიუხედავად იმისა, ლამაზი კოსტიუმი გაცვიათ თუ შემოტმასნილი აბრეშუმის “მყვინთავის” კომბინეზონი, ყველაფერი ძალზე ულტრამოდური უნდა იყოს. თუ ეჭვები შეგიპყრობთ, ჩვეულებრივი საქმიანი კოსტიუმიც შეიძლება ჩაიცვათ ლამაზი პერანგით, უჰალსტუხოდ. ქალებმაც ელეგანტური კოსტიუმი და დღის კაბა ჩაიცვან. არ დაგავიწყდეთ–მხოლოდ ბრენდები!

Casual

–ამ სტილში ჩაცმას მასპინძელი ითხოვს შედარებით განმუხტულ გარემოში. მაგალითად, არაოფიციალურ კორპორაციულ საღამოზე, პიკნიკზე და ა.შ. თავისუფალი სტილი უნდა შეარჩიოთ შეხვედრის შინაარსიდან გამომდინარე. ზოგიერთ შემთხვევაში სჯობს ელეგანტურად, ვიდრე სპორტულად ჩაიცვათ.

Informal igives nisnavs, rasac Casual.

Btr (Business Traditional) _ Undress _

ეს ორი სხვადასხვა აღნიშვნა ერთიდაიგივე შინაარსისაა – საქმიან შეხვედრაზე აუცილებლად, ყოველთვის ტრადიციული კოსტიუმი უნდა ჩაიცვათ, ანუ, როგორც ბიზნეს წრეებში ეძახიან, ტანსაცმლის ყოველდღიური ფორმა.

Bb (Business Best)

–ყველაზე მკაცრი და ძვირადღირებული კოსტიუმის ჩაცმას ითხოვენ საპასუხისმგებლო საქმიან შეხვედრებსა და მიღებებზე, განსაკუთრებით უცხოელ პარტნიორებთან მიმართებაში. მამაკაცმა საუკეთესო საქმიანი კოსტიუმი უნდა შეარჩიოს, რომელიც უმთავრესად მუქი ლურჯი ფერისაა, შეიძლება ზოლიანიც, ერთ ან ორბორტიანი. პერანგი ქათქათა თეთრი ფერისა უნდა გეცვათ, ორმაგი მანჟეტებითა და სამაგრებით, წითელ ტონებში გადაწყვეტილი ჰალსტუხით. გულის ჯიბეში ცხვირსახოცი უნდა გედოთ. ფეხსაცმელი კი მხოლოდ შავი ჩაიცვით – ე. წ. ოქსფორდები ან

დერბი. ქალისათვის საუკეთესო არჩევანია ნაცრისფერი, ღია ლურჯი, ან ძალიან ღია ყავისფერი კოსტიუმი, თეთრი პერანგი, შესაძლოა კანისფერი ჰალსტუხიც. ფეხზე კი გამჭვირვალე წინდები, შავი ან კოსტიუმის ფერი, დაბალქუსლიანი (3-5 სმ) ფეხსაცმელი უნდა მოირგოთ.

გარდა ამ ნიშნებისა, არსებობს არასტანდარტული მოთხოვნებიც, რომელსაც თავად მასპინძელი აყენებს.

Total Black

ნიშნავს, რომ თავიდან ფეხებამდე შავში უნდა გამოეწყოთ. ან კიდევ

_ Orange Party;

ასეთ დროს თქვენ გელოდებიან ფორთოხლისფერ სამოსში.

ჩვენ მოგიყევით ჩაცმულობის კოდექსის ძალზე აუცილებელ, მაგრამ მცირე ნაწილის შესახებ. ეს კოდექსი დაუსრულებლად მრავალფეროვანი და საინტერესოა, რადგან გარკვეული ფენების სოციალურ ყოფასა და კულტურულ ფასეულობებს გამოხატავს. არსებობს კორპორაციათა, ბანკების, რე-



სტორნების ინდივიდუალური კოდექსები, ან უფრო ფართო არეალის მქონე – ისლამური ან აღმოსავლური ქვეყნების Dress-code. მოკლედ წესები, რომლებიც წლის სხვადასხვა დროს, ან დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სოციალურ გარემოში გვჭირდება. ამ გარდაუვალ საჭიროებათა შესახებ თხრობას კი შემდგომშიც გავაგრძელებთ.

* დასასრული. დასაწყისი იხ. “ახალი განთიადი” №2,3.

გამოიწერეთ „ახალი განთიადი“



***

დილა ... რომელმაც მომცა
იმედი,
ცხელმა შუადღემ შეცვალა
ისევ,
საღამო ჩუმი და ნაღვლიანი
სხეულს ლოდინის ხმაურით
მივსებს...
რაც არ ვიცოდი, ვერც დღეს
გავიგე,
საღამო მოდის, ჩუმია ისევ...
გაურკვევლობის რუხი კარიბჭე
სხეულს ლოდინის ხმაურით
მივსებს.

***

მორჩილად გისმენ და
გეთანხმები,
თითქოს შემეძლოს გითხრა
უარი,
მაქვს სიხარული შენი
თანხლების
და არ მადარდებს, მამჩნევ
თუ არა.
მძიმეა სევდა შენი ხელივით
შენი ხმაურით უცებ
ვწყნარდები.
მორჩილად გისმენ,
თვალგახელილი
და ვიცი, რომ
დღეს შეგიყვარდები.

ბუბრიკა
– წელიწადის ძეხუთე დრო ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მოჰრმანდით ოდა ქცევაში, ეაეგეაცანით თქვენი ნაძუძეგორები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და ეაცანით �i ნაზოეადოებას

ნინო ლურსმანაშვილი

ნაცურმორცი მინაზე

ვიღაც სათუთი და ფრთხილი
ხელით
ჯრელი სიზმრიდან მიბიძგებს
შენსკენ.
შენ ... აღარა ხარ და ძველ
ტილოზე
ამაო ცისფერ ოცნებას ვეძებ...
ვიღაცას ჩუმად მოვყავარ
შენთან,
ვიღაცას ისევ ვგონივარ შენი,
ვიღაცა ისევ წარსულში
მხედავს
და ვეღარ მშველის...
სავსეა ჩემი ოთახის სითბო,
რაღაცით, რასაც ვერ ვარქმევ
სახელს
და კედლებიდან იდუმალ
მზერით
ვიღაცა ისევ ჩემს ფიქრებს
ამხელს.
და ფრთხილი, ფრთხილი,
სათუთი ხელით
მტირალ ნაცურმორცს ხატავს
მინაზე,
შენზე არ ვფიქრობ, შენ ...
აღარა ხარ,
ვნაღვლობ წვიმაზე.

დადიხარ, თითქოს შენ იყო
მეფე...
მე შენი მშვიდი მხევალი
ქალი
და მხრებით დაგაქვს ჩემი
სიჩუმე,
მტანჯველი, როგორც უძილო
ღამე
და მარტოსული ხეების
ირგვლივ,
არის გოდება და სიმძიმილი,
ვნუხვარ... ვერაფერს აგიხსნი
სიტყვით –
ვერც გაცრეცილი ჩუმი
ღიმილით.
დამარცხებული, ჯარდაღუპული
და ცხენმოკლული მეფე ხარ
რადგან,
რადგანაც მხრებით დაგაქვს
ტკივილი
და ყველაფერი ...
სიმშვიდის გარდა
დგახარ ღიმილით, მწარე
ღიმილით
ჩემი სიჩუმის იდუმალ
კართან.

გიყვარდეს მიყვარს შენი ...

ქალაქ კასპში მეორე წელია ფუნქციონირებს მარკეტების ქსელი "იაფი", რომელიც მომხმარებელს კვების პროდუქტებს - შედარებით დაბალ ფასში სთავაზობს. ქსელის დამფუძნებელი გიორგი ბაინდურაშვილია, ხოლო დირექტორი გია ბაინდურაშვილი.

გიორგი ბაინდურაშვილმა მარტოხელა და მრავალშვილიან 10 ოჯახს ორ ეტაპად - პირველად 26 თებერვალს, ხოლო მეორედ, 7 მარტს გაუწია პროდუქტებით (პური, შაქარი, ზეთი, კვერცხი, მაკარონი, კარაქი, ქათამი, ტკბილეული, მარილი) დახმარება. ჩვენს ქალაქში ბევრი გაჭირვებული ოჯახი ცხოვრობს, რომელთაც არსებობის ნაკლები საშუალება გააჩნიათ. ამიტომ გადავწყვიტე ვიდრე შესაძლებლობა მექნება, ყოველთვიურად 5-6 ოჯახს სისტემატური თანადგომა გამოვუცხადო და საკვები პროდუქტებით დავეხმარო - აღნიშნა გიორგი ბაინდურაშვილმა.

იმედია, აქციას გამოეხმაურებიან ისინიც, ვისაც სხვათა დახმარების შესაძლებლობა და სურვილი აქვთ.

სპორტი

ოქროს მედალოსნები

ამას წინათ ზესტაფონში ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ლავრენტი კაციაშვილის სახელობის კასპის ჭიდაობის სკოლის სპორტსმენები (მწვრთნელი იოსებ მამულაშვილი).

შეჯიბრი გაიმართა 7 წონით კატეგორიაში. პირველ ადგილზე გასულმა მოჭიდავეებმა დავით გეჯაძემ (55კგ.), გიორგი კაციაშვილმა (75კგ) და გიორგი გუგულაშვილმა (75კგ) ოქროს მედლები მოიპოვეს და ასახელეს რაიონი.

საბერძნეთის საგზური

ქალაქ ქუთაისში გაიმართა საქართველოს სარეიტინგო პირველობა ჭიდაობა ძიუდში. ჩვენებური ფალავნები დავით გეჯაძე, გიორგი გუგულაშვილი და გიორგი კაციაშვილი ამჯერად მხოლოდ ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ, თუმცა მათ საბერძნეთის საგზურები მაინც გაინაღდეს. დიახ, აპრილის დასაწყისში ჩვენი ბიჭები საბერძნეთში დაიცავენ საქართველოს ღირსებას.

სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

1. ელექტროშემკეთებლის სტაჟიორი. (კიჩქვის კასიერი).

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხელზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის **18** მარტის ჩათვლით. მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№**2**.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

ქალი საქართველოს ისტორიულ, მხატვრულ, ხალხურ ლიტერატურაში

* დასასრული

ლოს ისტორიულ, მხატვრულ, ხალხურ კონტექსტში.

დედის, ზოგადად ქალის როლსა და დანიშნულებაზე, ჰუმანურობაზე, იმაზე, თუ როგორ აისახებოდა ქართველი ქალი ხალხურ შემოქმედებაში დამსწრეთ საინტერესოდ წარუდგინა ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ეკა დალაქიშვილმა. ბიბლიოთეკის სპეციალისტებმა მაია ქესაურმა, მაია აბუაშვილმა, ხათუნა აბუაშვილმა, ეთერ ნიპარიშვილმა, დალი მარქარაშვილმა, მერი გზირიშვილმა წაიკითხეს ქალისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსები. ღონისძიებას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე. დასასრულს ბიბლიოთეკის დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებსა და ბიბლიოთეკის კოლექტივს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

ეთერ ჩადუნელი, კასპის ბიბლიოთეკის სპეციალისტი.

,,ახალი გვნიადლი,, იძიებს ყველაფერს ყურადღებას ჩვენთან ყველაზე თოფო-მეტიანად შეყვარებულია. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - დადგენილი თქვენი ყველა ჩვენს მეტიანიში! გამოგვიგზავნეთ ყველაფერი და თოფოები!

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება იუწყება, რომ გარდაიცვალა ქვემო ჭალის კულტურის სახლის ყოფილი დირექტორი
ლერი შუღლიაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქორეოგრაფიული საბავშვო სახალხო ანსამბლი "დიდგორი" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქვემო ჭალის კულტურის სახლის ყოფილი დირექტორი
ლერი შუღლიაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?

გინდათ, გაიგოთ ერისკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მობრძანდით რედაქციაში! ან დაგვირეკეთ 22 25 76

გამოიწერეთ "ახალი გვნიადლი" და გახდით ჩვენი მკითხველები!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,ქოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საკაკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76